ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

ადრესატი:

ილია გელაშვილი
იურიდიული საქალაქო სამსახური-საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

წერილის ნომერი:**17-01262943064**
თარიღი: **21/10/2026**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში შემოსული N19/01262793141-01 06.10.26წ. განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ N01.18.09.005.023 საკადასტრო კოდზე მდებარე შენობა-ნაგებობა (I და II ბლოკი) მიღებულია ექსპლუატაციაში.

საქართველოს კანონში „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ში შევიდა ცვლილება და 141^3 მუხლით განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების დროებითი წესი. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, N01.11.12.005.181 საკადასტრო კოდზე მდებარე შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების მოთხოვნით სამსახურისათვის მომართული ქონდა დამკვეთს და 2025 წლის 27 აგვისტოს ბრძანებით დახარვეზდა აღნიშნული განცხადება, სამსახურის მიერ განესაზღვრა კანონით გათვალისწინებული ვადა ექსპლუატაციაში მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოსადგენად. ვინაიდან მხარის მიერ არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია, განცხადება ობიექტის ექსპლუატავციაში მიღების მოთხოვნით 2025 წლის 13 ოქტომბერს დარჩა განუხილველი.

დანართი: „4“ ფურცელი.

მუნიციპალური ინსპექცია-სამართლებრივი წარმოებისა და საორგანიზაციო უზრუნველყოფის განყოფილება-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი